ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური

დ. ხარაგაული, 9 აპრილის 15 ტ.: 2 15 40; 8 77 95 75 30

N 6 „ 10 “ თებერვალი 2014 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების დასასრულებლად და დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში შესასვლელად დამატებით საჭიროა 89,3 ათასი ლარი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის ხარჯებში 33,0 ათასი ლარი სასულიერო გიმნაზიის მიმდებარე საყრდენი კედლების მშენებლობის დასასრულებლად;
- ახალგარემონტებული კინოთეატრის შენობის ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვისათვის (განათებისათვის საჭირო სპეცაპარატურა) 50,0 ათასი ლარის გამოყოფა.
- საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების ღირებულება – 3,5 ათასი ლარი;
- სოფლებისათვის წყლის მილების შეძენა – 2,8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ–ების დირექტორების მომართვის თანახმად საჭიროა დამატებით სუბსიდიის გამოყოფა 31,2 ათასი ლარი, მათ შორის:

- კულტურის ცენტრს სხავადასხვა თეატრალური პროგრამებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად ესაჭიროება 15,0 ათასი ლარი; (თოჯინების თეატრი ,საბავშვო სპეკტაკლის დადგმა; იმერეთის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა; პროექტი ,,საუკუნის თეატრი“)
- ხალხური შემოქმედების სახლს – 8,0 ათასი ლარი, (ტრანსპორტირებისათვის; ჩოხა–ახალუხი, ქამარ–ხანჯალი, აზიაცკები, ყაბალახის, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და საოფისე ინვენტარის შეძენა)

– ცენტრალურ ბიბლითეკას – 3,3 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების ხარჯებისათვის.
– სამუსიკო სკოლას – 4,9 ათასი ლარი (პროექტი ,, დედაქალაქი – რეგიონებისათვის მონაწილეობა)

მუნიციპალიტეტის გამგეობას დამატებით ესაჭიროება 15.0 ათასი ლარის გამოყოფა, (კომპიუტერების შესაძენად, ფოტო–ვიდეო აპარატურის შესაძენად და საოფისე ავეჯის შესაძენად)

ფიზკულტურის ღონისძიების ხარჯებში საჭიროა 5.0 ათასი ლარის დამატება მხიარული სტარტების მოსაწყობად საჭირო ინვენტარის შესაძენად.

სულ დამატებით საჭიროა 140,5 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან **გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 7626,5 ათასი ლარი გაიზარდოს 140,5 ათასი ლარით და განისაზღვროს 7767,0 ათასი ლარით,** ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნას 2014 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთიდან 140,5 ათასი ლარი.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი